# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 187 კვირა, 23 აგვისტო 1909 წ. № 187

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. შესწორებას მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ იხსენება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



იოსებ ზაქარიას ძე შავგულიძე, შვილნი მისნი ნიკოლოზ, გიორგი, ტიმოთე, კონსტანტინე, აგრაფინა და ანნა ჩხიკვაძისა და შვილის-შვილი რაჟდენ ნიკოლოზის ძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფასს მეუღლის, მეორენი—საყვარელ დედის, უკანასკნელი—ბებიის

სოფიო გრიგოლის ასულის შავგულიძისას.

დაკრძალვა კვირას, 23 აგვისტოს, $3^{1}/_{2}$ საათზე. ზარჩენკოვსკის ქუჩა, საკუთარი სახლი. (1—კვ.—1)

ქვრივი ნინო ლევანის ასული გუგუშვილისა, ტრიფონ გიორგის ძე, ალექსანდრე დიმიტრის ძე, კონსტანტინე ტრიფონის ძე, პასო ტრიფონის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლის, დანარჩენნი—ბიძის პოდპოლკოვნიკის

მელიტონ გიორგის ძის გუგუშვილისას.

გამოასვენებენ ქუთაისში ხუთშაბათს, 27 აგვისტოს. (1—კვ.—1)

## სამუსიკო სასწავლებელი ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

გადავიდა ახალ ბინაზე: საპიორის ქუჩა, სახლი ეღენტისა, № 18.

მასწავლებელთა სია: (ფორტოპიანოზედ,) კნ. ბ. ამირაჯიბისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ო. მ. პივოვაროვა ბერგისა და ე. ვ. ფოგელისა. (ვიოლინოზედ,) ა. ნ. ყარაშვილი, (სამუსიკო ელემენტარული თეორია, 1 და 2 კურსი ჰარმონიისა, ენციკლოპედია და ხოროს კლასსები) ზაქ. პ. ფალიაშვილი, (ნოტების კითხვა) გ. ი. ნატრაძე.

მოწაფეების მიღება დაიწყება ამა აგვისტოს 25-დან, სწავლა 1 ენკენისთვიდან. კანცელარია, როგორც სკოლისა, ისე საზოგადოების გამგეობისა ღიაა დილის 10 ს.-დან 1-მდე და საღამოს 5—7-მდე. (4—6,—4)

მხოლოდ 8 დღით

## ნ. ი. კუნდურის

მაღაზიაში

სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო სახლი.

## დაკლებულის ფასით

ქალის საცვალი.

ჩულქები, წინდები, შალისა და აბრეშუმის იუბკები. (3—ხალ.—2)

ფასები შეუდარებლად

დაკლებულის ფასებით

სასწრაფო გასაყიდად

სახალხო განათლების სამინისტროს უწყების ქვეშე მყოფი 7 კლასიანი 1 ხარისხის კერძო სასწავლებელი

## ლევანდოვსკებისა

ტფილისი, ანასტასიას ქ. N 14, ტელეფ. N 804.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მოწაფეთა საზაფხულო მუშაობის შემოწმება 1-დან 5 სექტემბრამდე.

მიიღებიან ბავშვები საზაფხულო ბაღში, მოსამზადებელ განყოფილებებში, 1, 2 და 3 კლასებში 15 აგვისტოდან ყოველ დღე, დილით 10—2 ს. საღამოთი 5—6 ს.

ახლად მისაბარებელ მოწაფეთა გამოცდა მოხდება 2 სექტემბრიდან 5 სექტემბრამდე. (3—ნასკ.—2)



## თამბაქოს ქარხანა

## ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ.-თ.

გამოვიდა ახალი პაპიროსები:

„ტოვარიში"—20 ცალი 5 კაპ. (სამ. ფორმ.)

„დრუჟბა"—20 ცალი 5 კაპ. (წვრ. ფორმ.)

შენიშვნა: სავაჭრო სახლმა დაადგინა, ეს პაპიროსები სულ უბრალო ეტიკეტებით გამოუშვას, რომ ამით შეძლება მისცეს მომწევთ, იქონიონ ყოველთვის კარგის ღირსებისა და გემოს პაპიროსები. მოითხოვეთ ყველგან.

ნარდად მყიდველებისთვის შეკვეთილი საქონელი დამზადდება შეძლებისა და გვარად. (10—ნას.—7)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—35)

ექიმი კ. თ. ტუეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—44)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—48)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—15)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 142)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—232)

ექიმი ვ. ღამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს სადამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ქ. ქუთაისში. მ. დ. ბედიამოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (5—კვ.—1)

ექიმი კბილისა ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). მესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—8)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—139)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „გუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. * * * (25—ნ—11)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი. N 9 (უ)

ექიმი მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ ს.

არღუთინსკი—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—82)

„ტფილისის სობრანიე"

კვირას, 23 აგვისტოს, საოჯახო საღამო.

ბ-ნთ წევრთა, კანდიდატთა და მათ ოჯახთათვის, საიმპერატორო თეატრების არტისტად ნამყოფის ბ-ნ ბ. ამირჯანის და ცნობილ სკრიპკის დამკვრელის დ. დავთიანის და მ. ფედოუნინა-ტამარინას მონაწილეობით, გაიმართება კონცერტი ორ განყოფილებად. აკომპანიატორად იქნება ბ-ნი ნ. გ. ქართველიშვილი.

დასაწყისი სწორედ $8^{1}/_{2}$ ს. კონცერტზე შესვლის ფასი 30 კ. სტუმრები ჩვეულებრივის წესით. (1—418—1)

დამჯნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

## „სანდო"

გიორგი მიხეილის ძის ჩივაძისა ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა.

სანერგის პატრონი დაჯილდოვებულია საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ვერცხლის მედლით (10—ნ.—1)

## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილისს.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 2)

ივ. გომელაურის მიერ შედგენილი წიგნი სკოლებში შესასწავლი

## ქართველი მწერლები

წიგნი პირველი. მეორე გამოცემა.

იყიდება ტფილისში ქართ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. წიგნი ყდით ღირს 70 კ. მაღაზიებს დაეთმობა 20%. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა" ფასი 4 კაპ. (5—414—3)

## ქართველ ქალთა სათ.-აზნაურო სკოლის

საანბანო და მოსამზადებელ განყოფილებებში მოწაფეების მისაღები გამოცდა დაიწყება 26-ს აგვისტოს დილის 9 საათზე. (3—ნ.—2)

ნაფიცი ვექილი

## ნიკო ელიავა

გადავიდა ოლგინსკის ქუჩაზე, № 47. (3—416—2)

მცხეთის სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტრის სკოლის

## საბჭო

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. ჰესანახი ფასი პანსიონში, საბჭოს დადგენილებით, წელიწადში არის თორმეტი (120 მ.) თუმანი; ხოლო პირველს წელიწადს პირველი მოსამზადებელი—ორი თუმანი (20 მ.) უფასოდ არავინ არ იქმნება მიღებული არც პანსიონში და არც გარედან მოსიარულე. ვინც უკვე მიღებული იყო ნაკლებ ფასში, თუ არ შემოიტანს ზემო-აღნიშნულს ფასს, თორმეტ თუმანს, დათხოვნილი იქნება პანსიონიდან. გარედან მოსიარულე მოწაფე იხდის სწავლის ფასს წელიწადში 25 მან.

თავმჯდომ. საბჭოსი წინამძღვარი მონასტრისა მონაზონი ნინო. (6—415—2)

უწმ. სინოდის დადგენილებით 29 აგვისტოს იოანნე ნათლის მცემლის თავის მოკვეთის დღეს იმპერიის ყველა ეკლესიაში, მწუხრისა და წირვის დროს, უნდა მოიკრიბოს შეწირულება. ეს ფული სავსებით გადაიდება სამსახურის ასრულების დროს დაღუპულთა ობლების დასახმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ. დახმარებას აღმოუჩენენ იმ სამხედრო პირებისა, მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეებისა და მუშებისა და გარეშეების ობლებსაც, რომელნიც სამსახურის ასრულების დროს არეულობის მსხვერპლად გახდნენ ან კიდევ შემთხვევით არეულობის დროს დაიღუპნენ. იმედია, რომ მლოცველნი არ დაიშურებენ თითო-ოროლა გროშს ამ საზოგადოების დასახმარებლად.

ტფ. გუბერნატორი ლოზინსკი.


## ტფილისი, 23 აგვისტო

მოახლოვდა ენკენისთვე და ტფილისს ჩვეულებრივ აწყდება მრავალი მშობელი ბავშვებითურთ. როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც სასწავლებლებში შესვლის მსურველი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ადგილებია ამ სასწავლებლებში. ამიტომ თითქმის ყველგან სასტიკი საკონკურსო ეგზამენებია და ბოლოს აღმოჩნდება, რომ მსურველთა მხოლოდ ნახევარი თუ იქნება მიღებული, დანარჩენები კი დარჩებიან სკოლის გარეშე. როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც უფრო დაზარალდებიან ღარიბნი, უმთავრესად სოფლის მცხოვრებნი, რომელთაც საშუალება ნაკლები აქვთ, ვიდრე შეძლებულ ქალაქელებს—ბავშვი შესაფერად მოამზადონ.

სამწუხარო სურათია, რომელიც ყოველ წელს სტერეოტიპულად მეორდება, იწვევს ჩვეულებრივს ჩივილსა და ტირილს და ივიწყება შემდეგ შემოდგომამდე. სამწუხარო სურათია, რომელსაც ადგილი აქვს არა მარტო ტფილისში, არამედ მთელს იმპერიაში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ადგილი აქვს არა მხოლოდ საშუალო სასწავლებლებში, არამედ დაბალ და პირველ-დაწყებით სკოლებშიაც. ხალხში გაიღვიძა სურვილმა თითონაც ისწავლოს და თავის მოზარდ თაობასაც ასწავლოს, მაგრამ სურვილი უნდა მოიკლას, რადგან ცხოვრების მეჯლისზე მისთვის ადგილი ცოტაა დატოვებული...

სწავლა-განათლების გავრცელება და გაძლიერება უპირველესი მოვალეობაა სახელმწიფოსი. ჩვენი დროის ისტორიამ ათასი მაგალითი მოგვცა იმის დასამტკიცებლად, რომ უთუო გამარჯვება ცხოვრების ყოველ მხარეში იმისია მხოლოდ, ვინც განათლებული და განვითარებულია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უფრო კულტურული და მოწინავე სახელმწიფონი არაფერს არაზოგავენ სწავლის საქმის გასაძლიერებლად; თითონაც მხნედ იღწვიან ამ საქმეში და არც საზოგადოებას, საზოგადოებრივ დაწესებულებებს უშლიან ამ ასპარეზზე მოღვაწეობას.

მხოლოდ რუსეთის მთავრობას უჭირავს ამ საქმეში განსაკუთრებული და ყოვლად შეუწყნარებელი პოზიცია. ვერავითარმა ისტორიულმა განსაცდელმა ვერ მოაცვლევინა მას ფეხი ამ პოზიციიდან, ვერ შეაგნებინა თავის პოლიტიკის უკუღმართობა. რუსეთის ბიუროკრატიის „ფილოსოფია" ამ საკითხში დღესაც იმ წერტილზე სდგას, რომელიც საერო განათლების მინისტრმა დელიანოვმა გამოაფინა საქვეყნოდ მე-90 წლებში: რად უნდათ მზარეულების, ლაქიების და მეეტლების შვილებს საშუალო სწავლაო! ამ ფილოსოფიის მიხედვით, არც სახელმწიფო ზრუნავს სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, არც საზოგადოებას და კერძო ინიციატივას ეძლევა ნება ებრძოლონ საყოველთაო სიბნელესა და უმეცრებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ერთ ნახევარ მილიარდიან ბიუჯეტიდან სახელმწიფო ძლივს 30 მილიონ მანათს ხარჯავს საერო განათლებაზე! ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსეთში საპატიმროთა აშენება—შენახვაზე უფრო მეტი იხარჯება, ვიდრე განათლების საქმეზე. ამით აიხსნება ისიც, რომ საზოგადოებასა და კერძო ინიციატივას ათასგვარ დაბრკოლებას უხვედრებენ წინ, იმის მაგიერ, რომ ხელი შეუწყონ და წააქეზონ.

რამდენსამე წლის წინად თითქო გონს მოვიდნენ და დაიწყეს მუშაობა სწავლა-განათლების საქმის გაუმჯობესებისა და გაძლიერებისთვის. იწყეს პროგრამების გადასინჯვა, უმაღლესს სკოლებში ავტონომიის შეტანა, საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებით სწავლების რეფორმის მზადება, გაანთავისუფლეს ოდნავ კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივაც; მაგრამ, ყოველივე ეს ფუჭი გამოდგა: ბიუროკრატიამ კვლავ აღიარა—სწავლა-განათლება მტერიაო, კრამოლა არისო და ტოლსტოი-დელიანოვს ღირსეული მემკვიდრე გამოუძებნა. ამ ჟამად რუსეთში არ არის უწყება უფრო შავრაზმული, უფრო ქომაგი ხალხის სიბნელეში დატოვებისა, ვიდრე საერო განათლების უწყება. მაღალ სასწავლებლებიდან ავტონომია გამოაძევეს, მას მიაყოლეს საუკეთესო პროფესორები, ებრაელები, ქალები; საშუალო სასწავლებელი კვლავ ჩააყენეს წინანდელ ხალტიურს ყოფაში; დაბალი სასწავლებელი კვლავ ჩააბარეს შავრაზმელ სამღვდელოებასა და პოლიციას; საყოველთაო სავალდებულო სწავლების პროექტი მაუდ ქვეშ ამოსდვეს. კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივა ისევ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დააყენეს!.. და კვლავ მთელ იმპერიის სივრცეზე ისმის ტირილი და ჩივილი მშობლებისა: სკოლა არ ვარგა და არც ამ უვარგისს სკოლაში არის ადგილიო; ისმის დაუკმაყოფილებელი მუდარა ხალხისა—მიგვიშვით ცხოველმყოფელ წყაროსთანაო!..

დიდად ანორმალურ მდგომარეობაშია დღეს რუსეთში სწავლა-განათლების საქმე და მთელი ისტორია რუსის ხალხისა და საზოგადოების ბრძოლისა „საუკუნე მტერთან", თვითმპყრობელ ბიუროკრატიასთან უტყუარად მოწმობს, რომ ამ სენის რადიკალური მოსპობა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა ნამდვილი და არა მოჩვენებითი თავისუფლება დამყარდება, მანამდის-კი სწავლა-განათლების საქმე ის „შინაური მტერი" იქნება, რომელთან ბრძოლა აქვს გაჩაღებული იმას, ვის მოვალეობასაც შეადგენს ამ საქმისათვის მზრუნველობა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აგვისტო

### სპარსეთი

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: შაჰად ნამყოფმა განაცხადა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რომ ადერბეიჯანში მდებარე ჩემი მამულები სახელმწიფოს ხელში გადავიდესო. ინგლისისა და რუსეთის ელჩებმა და სპარსეთის მთავრობის წარმომადგე-

ნლების თათბირმა დაადგინა შეთანხმების განაჩენის ხელის მოწერის შემდეგ შაჰად ნამყოფს სამი დღე კიდევ შეუძლიან სპარსეთში დარჩეს, რის შემდეგ სპარსეთი უნდა მიატოვოს. შაჰად ნამყოფს წელიწადში პენსიად 200,000 მანეთი დაენიშნა.

**თეირანი.** ჩამოვიდა ოსმლეთის ახალი ელჩი ხასსა-ბეი.

მიუხედავად იმისა, რომ ამნისტია გამოცხადდა, უცხოელების საელჩოებში თავშეფარებულები კარში ვერ გამოდიან, რადგან ხალხის შურისძიებისა ეშინიანთ. მათ გადაუწყვეტიათ საზღვარ-გარედ წასვლა. ამიტომ საელჩოებს სთხოვენ საზღვრამდე მიცილებას.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** 18 აპრილს მიტროვიცის ახლო მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. დაიღუპა 18 სალდათი და ერთი აფიცერი.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** შვეციის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით საყოველთაო გაფიცვა 24 აგვისტოს გათავდება.

**სტოკჰოლმი.** გაფიცვის კომიტეტმა დაადგინა, 24 აგვისტომდე ყველა სამრეწველოებში მუშაობა დაიწყოსო. გაფიცვის კომიტეტებმა მთავრობის შუამავალს მიმართა, იმედი ვიქონიოთ თუ არა, რომ მთავრობა ამ ჟამად იშუამდგომლებსო. მთავრობის შუამავალმა განაცხადა, დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა ჩაერევა საქმეში, იმ პირობით კი, თუ გაირჩევა იმათი საქმე, რომლებიც თავიდანვე მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვაშიო.

### საზღვარ-გარედ.

**სალონიკი.** გუშინ, 21 აგვისტოს, აქ გაიხსნა ბოლგარიის საკონსტიტუციო გლეხების წარმომადგენლების კონგრესსი. ამავე დღეს ელბასანში გაიხსნა ალბანელთა კლუბების კონგრესსი.

**ფრიდრიხსგაფენი.** 21 აგვისტოს საღამოს 9½ საათზე მოფრინდა ჰაეროსტატი „ცეპელინ მესამე“. ჰაეროსტატმა გზაში 22½ საათი გაატარა. „ცეპელინ მესამე“ მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.

**ბრატჩიანო** (იტალია). დღეს, 21 აგვისტოს გაფრინდა სამხედრო ჰაეროსტატი. ჰაეროსტატი ერთ საათში 40 კილომეტრი გაფრინდა. ჰქროდა ძრიელი ქარი.

**პარიზი.** დილის 5 საათზე ჰაეროსტატი „რეპუბლიკი“ ლიპალისკენ გაფრინდა. ჰაეროსტატი არსად არ გაჩერდება.

**ათინა.** დეპუტატთა პალატას ორი კვირის შემდეგ მოიწვევენ. დეპუტატთა პალატის მოწვევა მიტომ გადასდეს, რომ მინისტრებს შეძლება მიეცეთ კანონ-პროექტები დაამზადონ.

**ჯარკენტი.** გერმანიიდან ჩინეთში აუარებელი მაშინები გაიგზავნა. ჩინელმა ვაჭრებმა მაშინები გერმანიას ამ რამდენიმე ხნის წინად შეუკვეთეს. მათ სურთ შაქრისა, სპიჩკისა და ტყავეულობის ქარხნების მოწყობა. ქარხნები მოქმედებას მომავალ წლის იანვრიდან დაიწყებენ. ხელოსნები ჩინელებმა გერმანიიდან გამოიწერეს.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ტანჟერიდან ატყობინებენ: სულთან მულაი-გაფიდმა საფრანგეთის ელჩს გადასცა, როგის თანამოაზრეების დევნას და წვალებას ადგილი აღარ ექნებაო.

**სკაგენი.** ნაშუადღევს 1½ საათზე აქ მოვიდა ექიმი კუკი. კუკი ინახულა რიტცაუს სააგენტოს კორესპონდენტმა. კუკმა კორესპონდენტს შემდეგი გადასცა: გრენლანდიიდან დაბრუნებისას ათი ესკიმოსი წამოვიყვანე, მოგზაურობის გათავების დროს, 8 სახლში გავუშვი და ორი ჩემთან დავანარჩუნე. ჩრდილოეთის პოლიუსზე 8 აპრილს, დილის 7 საათზე მივედით. პოლიუსზე მიწა ვერ აღმოვაჩინეთ. არც ზღვის სიღრმე გამიზომია, რადგან საჭირო ინსტრუმენტები არა მქონდა. პოლიუსზე ამერიკის დროშა ავაფრიალე და იქვე დავტოვე. მე ისე ვცხოვრობდი, როგორც ესკიმოსები სცხოვრობენ. ექსპედიციის დროს ბევრი უბედურება და სიძნელე დავძლიე. პოლიუსამდე მისვლას სამი თვე მოუნდით, იქიდან დაბრუნებას 9 თვეო.

**როტერდამი.** უეცრივ გარდაიცვალა ხოლერიანთა საავადმყოფოს ზედამხედველი—ქალი. უტრეხტში ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა მეზღვეურის ცოლი.

### რუსეთი

**ეკატერინოსლავი.** 15 აგვისტოს ტაგანროგის ოლქში რამდენიმე ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა ბროდსკის მაღაროებს. ამ დროს მუშებს ფულს ურიგებდნენ. ბოროტგანმზრახველებმა ფული გაიტაცეს. ეხლა პავლოგრადში დაუპატიმრებიათ 4 კაცი. ბროდსკის მაღაროებიდან ამ უკანასკნელებს გაუტაცნიათ ფული. დაპატიმრების დროს ბოროტგანმზრახველებმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. მოკლულია ორი ბოროტგანმზრახველი, დაჭრილია ერთი პოლიციელი. ბოროტგანმზრახველებმა ბროდსკის მაღაროებიდან 6,900 მანეთი გაიტაცეს, მათ ზედ 3393 მანეთი აღმოაჩნდათ.

**ჩერნიგოვი.** სოფელ სტეპანოვკაში გადაიწვა 40 სახლი. ზარალი დიდია.

**სმოლენსკი.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია თავად-აზნაურთა დუროვშჩინის წინამძღოლი ენგელგარდტი, სახელმწიფო საბჭოს წევრად ნამყოფი.

**პოკროვსკაია სლობოდა** (სამარის გუბერნია). გუშინ 21 აგვისტოს გადაიწვა 400 სახლი. ზარალი დიდია, ბევრი უსახლკაროდ დარჩა.

**კიევი.** ქალაქის საქმეთა საკრებულომ დაადგინა სამართალში მისცეს სკვირის ქალაქის მთელი გამგეობა. გამგეობას ბრალდება სხვისი ფულის 29,000 მანეთის ქალაქის საჭიროებაზე დახარჯვა. ამას გარდა გამგეობას ქალაქის კასაში არ შეუტანია სავაჭრო დაწესებულებებისგან შემოსული ფული.

**რიგა.** გუშინ, 20 აგვისტოს, საღამოთი, ქალაქზე გადაიარა ჰაეროპლანმა. ჰაეროპლანი მიწაზე კრეიცბურგის ახლო დაეშვა. ჰაეროპლანში ისხდნენ სამი კაცი და ერთი ქალი.

**ვარშავა.** ვარშავის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა სასკოლო საზოგადოება და საზოგადოების ყველა განყოფილებები. მიზეზი წესდების დარღვევაა.

**კიევი.** სოფელ კოლონბრიკაში გადაიწვა 29 სახლი და წრევანდელი მოსავალი. ზარალი დიდია.

**რიგა.** ცეცხლი გაუჩნდა „პროვოდნიკის“ ქარხანას. ზარალი 150,000 მანეთს უდრის.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 26, გარდაიცვალა 11, ავად არის 286 კაცი.

**დრისსა.** ქალაქსა და მის მაზრაში ავად გახდა 14 კაცი.

**გუნგერბერგი.** ავად გახდა 1 კაცი.

**ეკატერინებურგი.** ტიუმენში ავად გახდა 2 კაცი.

**ვიტებსკი.** დღე-ღამეში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 5 კაცი. სენის დაწყებიდან აქნომამდის ავად გახდა 508, გარდაიცვალა 200 კაცი.

**კრონშტადტი.** 19 აგვისტოს ავად გახდა 1 კაცი.

**მოგილევი.** სენენსკის მაზრის სხვა და სხვა სოფლებში უკანასკნელ ხუთი დღის განმავლობაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 2 კაცი.

**იაროსლავლი.** უკანასკნელ ხამი დღის განმავლობაში იაროსლავსა და რიბინსკში ავად გახდა 35, გარდაიცვალა 12 კაცი.

---

## ჩემს გველს

ერთად ვიყავით... შენს ტკბილსა ბაგეებს დავეწაფებოდი, — გეს
არ დავივიწყებ იმ წუთს, როდეს...
როგორ ვხარობდი, როგორ ვსტკბებოდი! —
ვით იმ დროს იყო ირგვლივ ბუნება,
გაშლილი ველი... მთა ბუმბერაზი,
ცას მიბჯენილა, ცას ეუბნება!
მითამაშებდა ჩვენ წინ ტყის წყარო,
წმინდა, ვით შენი სპეტაკი გული,
სადაა ვნებსა სამგლოვიარო,
მხოლოდ სიამე და სიყვარული!
„მართლა ყვავილა, ტურფავ სამოთხე“
ვთქვი მე, ურწმუნომ, და შენსა თვალებს
ჩავაკვდი; მე იქ ვხედავდი მაშინ
სიყვარულის ღმერთს; ციურ ქვეყანებს!
„აღსდგა უფალი,—მოესმა მიწას,—
წამების მთაზე ის აღსდგა მკვდრეთით
მან თვის სიკვდილით შენი სიკვდილი,
დათრგუნ, გიხსნა ტანჯვა,—წამებით“.
ამას გალობდა სერაბიმთ გუნდიც
ჩამოდიოდა ძირს სიყვარული
და მეც ვსტკბებოდი, ხელში მეჭირა
ტურფა ედემი—ეგ შენი გული!
ყვავილით ვრთავდი... მაგრამ უეცრად,
მწარედ დემონმა გადიხარხარა,
ავარდა ალი ჯოჯოხეთისა
და კლდოვის ზარმა თავს გადმიარა!
მოჰქონდა ვნებსა, მოჰქონდა ცრემლი,
ფერფლი ჩამჭკნარი ნარჩი გულისა,
ბორკილთ ჩხარუნი, შონის ქვითინი,
მსხვერპლი უბედურ სიყვარულისა!
გაჰქრა ოცნება... წინ გადმეშალა
ჩვენი ცხოვრების ტალღათ ტეღაშენი,
იუდას ვერცხლი, მისი ამბორი,
ძმის გამწირავი კაენის შური!
და შენი გული, დამაზო გველო,
შენი ისარი შხამ-გესლიანი,
ცბიერი ბაგე ჩემგან შემკული,
ჩემგან მორთული ყვავილიანი.

ი. ევდოშვილი.

---

## ია

ვიშ, რა კარგია,
რა ლამაზია
პაწაწა ია;
კუკურად შლილი,
სილით გავსილი,
კდემა მოსილი,
დილა საღამოს
აბნევს მიდამოს
სუნნელს საამოს.
სიოს სალამი,
ტბისა კამკამი,
ციური ნამი,—
თავსა ევლება,
ზედ ეპკურება,
ემსახურება...
ახ, რა კარგია,
რა ლამაზია,
პაწაწა ია!..

ი. გრიშაშვილი.

---

## ხალხური ლექსი

(ჩაწერილი სოფ. ერთაწმინდაში მიხა ბატკუაშვილისაგან)

ერთი ვარ, ერთი მოვკვდები,
ერთხელ ვატირებ დედასა,
ერხელ სიკვდილი სჯობიან
მუდამ ჟამ დღონებასა.

—

ძველთაგან თქმულა: გონს ვიყავ,
ვიაია კამეჩი მორევსა,
ვიწიე, ველარ ავზიდე,
ვსთქვი,—დახე ჩემსა ღონესა!

—

ძნელია, კაცი როდესაც
ვერ მიხვდეს გულის წადილსა,
წარსული თავის ცხოვრების
მაშინ ფარათაც არ ღირსა.

—

ეგრევ ძნელია, როდესაც
კაცი სამშობლოს შორდება;
იქ რა მიელის,—არ იცის,
ფიქრობს და მისთვის ღონდება.

—

მშვიდობით, ჩემო მიჯნურო,
შენთან ვარ განაფიცია,
ჩვენი ფარული სიტყვები
არვისთვის გადმიცია.

—

შორსა ვარ, მაგრამ დღე და ღამ
შენკენ რბის გული, გონება,
არ ვიცი, კიდევ გნახავ, თუ
სხვა ვინმე ჩაგეკონება.

—

დე, ერთი მოვკვდე, ერთი ვარ,
ერთხელ ვატირებ დედასა,
ერთხელ სიკვდილი სჯობიან
მუდამ ჟამ დაღონებასა!

—

მიხა ბატკუაშვილი, რომლისაგანაც ეს ლექსი ჩავწერე, ოცდა-თექვსმეტი წლის კაცია, მშვენიერი მომღერალი, ლექსის მთქმელი და შესანიშნავი მონადირე. თეძმის ხეობაზე მდებარე სოფლები და მთიულები მიხას მონადირის სახელით უფრო იცნობენ. საანბანო წერა-კითხვა სოფლის ბავშვებთან ერთად სამრევლო სკოლაში ისწავლა. თავისუფლების მოყვარული თავისუფლების მოძრაობამ საბოლოვოთ გაიტაცა... მთავრობის მოხელეებს მოეწყინათ მისი უკან დევნა: ერთ მშვენიერ დღეს სოფ. ერთაწმინდაში გაჩნდნენ და მიხას სახლ-კარი მთლად მიწასთან გაასწორეს.

ი. კარგარეთელი.

---

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **ეგზეკუციის მოხსნა.** ამას წინად ვიღაცებმა გურიის სოფელ ჯურუყვეთში მოჰკლეს სირია გოგინეიშვილი. რაკი დამნაშავენი არ აღმოჩნდენ, ადმინისტრაციამ 11 ივლისს ეგზეკუცია ჩააყენა. ჯურუყვეთლებმა სახელმწიფო სათათბიროს წევრს ბ-ნ გეგეჭკორს სთხოვეს, ეშუამდგომლნა ეგზეკუციის მოხსნაზე. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, ბ-ნ გეგეჭკორის შუამდგომლობით, ქუთაისის გუბერნატორს ეგზეკუცია მოუხსნია.

◆ **წვრილი კრედიტი ხელოსნათათვის.** 21 აგვისტოს, წვრილ კრედიტის საქმის ინსპექტორის დავიდოვის თავმჯდომარეობით, მოხდა შეერთებული სხდომა ტფ. ხელოსნებისა. მოხდა ახლად განზრახულ წვრილ კრედიტის საზოგადოების გამგეობისა და საბჭოს არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. რეეპეცკი, მის თანაშემწედ—ხ. ბაშეციანი, ხაზინადრად—მ. მელენჩუკი და ხაზინადრის თანაშემწედ—კ. ფიცხელაური. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქმნა ტერ-სტეფანოვი, მის თანაშემწედ—ხრ. მელაშვილი. საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს 26 აგვისტოს. უკვე მიიღეს ხაზინიდან ფული საწარმოო თანხისათვის.

◆ **საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება.** როგორც ვწერდით, ქუთაისის ბანკის რწმუნებულებმა დაადგინეს, დაკეტონ ბანკის ტფილისის განყოფილება. ეს ამბავი სასიამოვნოდ დარჩენია დონის საადგილ-მამულო ბანკს, რომელსაც, როგორც გავიგეთ, აზრადა აქვს გახსნას თავისი განყოფილება ტფილისში.

◆ **უპასპორტოები.** ხარფუხში 21 აგვისტოს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 9 უპასპორტო კაცი.

◆ **ცირკულიარი.** ტფ. გუბერნატორმა ცირკულიარი დაუგზავნა ქალაქებს და მოაგონა ქალაქის თვით-მმართველობებს, რომ 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვათა შედგენა დააჩქარონ.

◆ **ახალი ქართული გაზეთი.** როგორც „ტფ. ლისტოკი“ გადმოგვცემს, ამ დღეებში ბ-ნ ნ. მელიქ-შახნაზარიანცის რედაქტორობით ტფილისში გამოვა ყოველ-დღიური ქართული გაზეთი „მომავალი“.

---

# ტალკვესი

დაჰკარი, ჩემო ტალკვესო,
დაჰკარი, დააკვესეო,
მოყვარეს პირში უმრავე,
მტერი კი ააკვნესეო.

ამას წინად რუსეთის გაზეთებში ამოვიკითხე:

პეტერბურგში არსებობს საზოგადოება „განათლება“. ამ საზოგადოებამ განიზრახა მოსწავლე ბავშვების ყოფა-ცხოვრების შესწავლა, შეუდგა ცნობების შეკრებას პეტერბურგის ქალაქის სკოლების მოსწავლეთა შორის და აღმოჩნდა, რომ დიდ უმრავლესობას სოფელზე, სოფლის ბუნებაზე და იქაურ ცხოვრებაზე წარმოდგენა არა ჰქონია. მრავალ ბავშვს მთელ თავის სიცოცხლეში არ უნახავს მამალი და არ გაუგონია მისი „ყიყლიყო“. ნახევარზე მეტს არ უნახავს ცხვარი, ტოროლა, ციყვი, ბაყაყი, მგელი, კალია, მელა, ფუტკარი, გვრიტი, ხარაბუზა. ბევრს თვალი არ მოუკრავს უბრალო ქიასთვისაც-კი!

* *
*

მაგრამ ქალაქიც არის და ქალაქიც. მაგალითისთვის თუნდა ქუთაისი ავიღოთ. იქ მრავლად არის უბრალო ქიაც, გაიძვერა მელაც, ქვეშქვეშ მძრომი თხუნელაც და სხვა მრავალი ნადირი და ქვე-მძრომიც.

მართალია, მემატიანე არ იხსენიებს, როდის დაიბადა ქალაქი ქუთაისი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ კი რომ, იგი მაინცა და მაინც ცის მნათობთა უწინარეს არის დაბადებული ვინაიდან ჯერ სიბნელე იყო, მერე სინათლე. ასეა თუ ისე, დავას, თუ ვინმე გამოგვეკამათება, გადასწყვეტავს წიგნი „დაბადება“, სადაც ნათლადა და გარკვევითაა ნათქვამი, რომ უწინდელს დროში სითალითეს ადგილი არა ჰქონდა, რომ სიბნელე და სინათლე არ იყო ერთ მანეთში არეული, როგორც რუსეთის „კონსტიტუცია“. „დაბადება“-შივე ნათქვამია, რომ იყო სიბნელე და მერე გაჩნდა სინათლე. აქედან ადვილი დასასკვნელია, რომ იყო ქალ. ქუთაისი და შემდეგ გაჩნდა „ვარსკვლავი“.

და რადგანაც სინათლე სიბნელეშიაც კი ანათებს, „ვარსკვლავმაც“ ქუთაისი გაანათა. ,ეს ის ჩვეულებრივი ვარსკვლავი კი არ გეგონოთ, რომელიც ცის კიდურიდან საღამოს ჟამს ქუთაისის ბანოვანებს „ჯაჭვის ხიდზე“ ლაწვებზე ელამუნება. ან ის ბედნიერი ვარსკვლავი, რომელზედაც დაიბადა იქაური ქართული თეატრი. არა ეს გახლავთ „ვარსკვლავი“, დაბადებული რიონის პირას მეტად ძნელს პირობებში.

**„ძნელს პირობებში უხდება ჩვენს** (მარტო მათს) **გაზეთს სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა.** (გამაგრდით მოდის!) **ცხოვრების მაჯის ცემა შეჩერებულია... ლოთობამ, კარტ-ნარდის თამაშმა ფარე** (თუ ფართო?) **ტახტი დაიდგა მუშებში... გლეხიც ათასნაირი გადასახადებით დღეს შიმშილს ებრძვის... თუ ორი-სამის წლის წინად ჩვენი საზოგადოება გამოფხიზლდა თავი დააწყია ფუქსავატს ცხოვრებას, დღეს რეაქციის ზეგავლენით ისევ ჩაეშვა სიუზნევის მორევში** (სიუზნევი არ ვიცი გვარია თუ სახელი, ქართული სიტყვა კი ყოველ შემთხვევაში არ არის) **მიუხედავად ამისა ამ ბოლო ხანებში „მოძრავი ელემენტების შეგნებულები“ თუმცა მათი რიცხვი მცირეა უკვირდებიან ცხოვრებას... რომ შემდეგში ყველა საჭირბოროტო კითხვების გადაწყვეტას უფრო შეგნებულათ შეხვდნენ... რაც ჩვენ, საზოგადოების ერთმა ნაწილმა უკვე ვიკისრეთ „ვარსკვლავის“ საშუალებით. თუ ყველა ვინც რასაკვირველია, თანაუგრძნობს ჩვენს წმინდათა** (ღმერთმანი ეჭვი არ შემაქვს საწმინდეში) **მიზანს ხელს შეუწყობს „ვარსკვლავს“ და დაეხმარება. . მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ქართველი საზოგადოება არც ისე მოუმსპარია(?) როგორც ეს გონიათ“...**

როგორც ჰხედავთ ამ სტრიქონებიდან, ქუთაისს მართლაც არა ჩვეულებრივი „ვარსკვლავი“ მოევლინია. მას დაუნახავს, რომ „მუშებში ტახტი დაუდგამს კარტის თამაშს“, მას უნახავს ვიღაცა „სიუზნევი“, რომლის მორევშიაც თურმე ცურაობს საზოგადოება, იგი წასწყვეტებია გლეხების ცრემლს და ვიღაც „მოუმსპარიას“.

და, აბა, ამის შემდეგ რაღა გააჩერებდა „ვარსკვლავს“, რომ არ წაეცხო თვისი ზეციური მალამო ცოდვილ „მოუმსპარიასთვის“, რათა იგი „სიუზნევისთვის“ ხელიდან გამოეგლიჯნა.

ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია ყველა ბიჭია,
„მოძრავი ელემენტების“
ნაღებია და ნიჭია.

მღერის „ვარსკვლავი“. ვინაიდან დარწმუნებულია თვის სიძლიერეში, თვის კვარცხლბეკის სიბრწყინვალეში, თვისის მალამოს ჯადოსნობაში:

„ახალგაზდობა, ეგრეთ წოდებული ინტელეგენცია, მოვალეა სათავეში ჩაუდგეს მასსის ყოველივე გამათვით მცნობიერებელ საქმეს და თავისი როლი პირნათლად შეასრულოს. დღეს, დიახ, დღეს უნდა ჩაებას ინტელეგენცია ხსენებულ საქმეებში სოფლათ მცირე დროს ყოფნის განმავლობაში (куда Ванька лѣзешь?), თორე როცა თვით მასსა თავს წამოჰყოფს და თვით გაუძღვება თავის საქმეს, როგორც აქამდის, მაშინ ინტელიგენციას ყოველი ნდობა და პრესტიჟი დაეკარგება და სასირცხვილო იქნება მათი ამ დროის ფუსფუსი“.

როგორც ჰხედავთ, წამალი ჯანაოზ ექიმს უკვე ხელთა აქვს, მხოლოდ საჭიროა გაეშუროს ავადმყოფისაკენ, ვიდრე იგი თვით წამოდგება ლოგინიდან, და ექიმს „პრესტიჟი“ დაეკარგება, მაგრამ

„უმრავლესობა მისი (ე. ი. ინტელეგენციისაო) წუმპეში გდია (ვაი შენ ექიმს!) და ბნელ ბრბოს გასახრწნელ მაგალითებს აძლევს სწავლა-მეცნიერების წინააღმდეგ ამხედრებს და რევრესის გზაზე აყენებს შეუგნებელ მასსას. ინტელეგენციის, მაინცა და მაინც დიდი იმედი არასოდეს არ არ გვქონია და სხვ...

აი, რა უცებ დაგვწყვიტა გული „ვარსკვლავმა“! მან პირველ გამოშუქებაზე „ინტელეგენტური“ სხივები ჩაუშვა მასსაში; ავადმყოფი გაჰყურებდა ექიმის გზას და ექიმს კი თვით ჰქონია ქაჩალი თავი! მე მინახავს, რომ ვარსკვლავი ვარსკვლავს დასჯახებოდეს, მაგრამ ის კი არ მინახავს რომ ვარსკვლავი თავის თავს ერქინებოდეს..,

ჩემო პატარებო, გეცნევათ, წევრის სურვილი ძლიერა გქონიათ, მაგრამ რვეულებს ნუ აფუჭებთ, ძვირად დაუჯდება მამა თქვენს თქვენი აღზრდა. წადით, ჯერ „ანიდამ“ „ჰაეჰოემოე“ ჩაიანბანეთ, ისწავლეთ, რა არის მამალი და როგორ ყივის, რა არის ტოროლა და როგორ გალობს იგი და მაშინ თქვენს გალობასაც იქნება ყური დაუგდოს „მასსამ“.

*
* *

სწორედ ისე, როგორც სურამის თეატრის „მასსამ“ მოისმინა ამ დღეებში, 150 ქანქარის შემდეგ, ვ. სარაჯიშვილის გალობა. დალახროს ღმერთმა ეს ქანქარი! აი, მართლა რა ჯადო ისა ყოფილა, თურმე ბულბულიც-კი მას შესტრფის.

და ვიდრე ბულბული იბულბულებდა, ფარდის შიგნიდან დაატკბო საზოგადოება კონცერტის გამგეთა და სარაჯიშვილის კოიმანქულმა:

**გ ა მ გ ე ნ ი.**

გამო, ბულბულო.
გამო, მოგელით,
ქანქარს მოგართმევთ
ჩვენივე ხელით!

**ბულბული.**

ვერ შემიტყუილებთ
ცბიერ მახეში,
ჯერეთ ქანქარი
ჩამიდეთ ყელში!

**გ ა მ გ ე ნ ი.**

ბულბულის მზემ, რომ
ყელს დაგიშაქრავთ,
გალობის შემდეგ,
ჯერ კი არ გახლავთ!

**ბულბული.**

არა და არა,
ჯერეთ შაქარი,
ყელის დამტკბობი
ტკბილი ქანქარი!

როგორც იყო, მოუთმენელ ბულბულს სამაისო სცენაზე ჩააყლაპეს ეს ტკბილეული და მაშინ და მხოლოდ მაშინ „ენდო“-ის საზოგადოებას, გამოჩნდა ვარდზე და მორთო კისკასი:

გველს ხვრელიდამ გამოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი,
სარაჯიშვილს კი სცენაზე
სურამელების ქანქარი!

*
* *

მაგრამ მიზეზი გარედ გამოსვლისა ყველგან ერთი და იგივე არა ყოფილა. თელავში, მაგალითად გარეთ გამოსვლის მიზეზი ფეხებია. რასაკვირველია, უფეხებოდ სიარული წარმოუდგენელია, მაგრამ თელაველების ფეხები სულ სხვანაირია და სხვა მიმართულებისა. იქ ყოფილა ფეხები „პატრიოტულ“ მიმართულებისა და ყოფილა ფეხები „ინტერნაციონალისტური“. მათი მოვლა და მზრუნველობა კი თელავის მამებს უკისრიათ.

— ისე მიყვარხარ, თელავო, როგორც ფეხებიო!—არწმუნებენ ისინი თელავს.

ეს მართალიც არის. აბა ნახეთ, როგორ უფრთხილდებიან ისინი თავის კლუბს, რომელსაც ოც ივლისს ილიას ფონდის საღამოსთვის არ იძლეოდნენ, ხოლო ფეხებისთვის-კი მუდამ მზადა აქვთ. სადაც „პატრიოტული“ ფეხები ლეკურს გადადიან, ხოლო „ინტერნაციონალური“ ფეხები—კეკ-ვოკს. თქვენ უნდა ნახოთ, როგორ მიეშურება იქით თელაველი ტარიელი და ნესტან-დარეჯანი „დუშკაობის“ სათამაშოდ; უნდა ნახოთ, რა სიყვარულით აცილებენ მათ დედილოები და რა სიყვარულით უხვდებიან მათ მამილოები, რომ სთქვათ ჩემთან ერთად:

თელაველებს ფეხები აქვთ,
თავზე რისმე თქმა ძნელია,
თავს რა თავში ქვათ იხლიან,
ცეკვის რა მარგებელია!

*
* *

როგორცა სჩანს, გაზ. „ივერიასაც“ ზედმეტ ბარგად უცვნია თავი. თუ ეს ასე არ არის, მაშ რად გაჰკრა ენამ თავის დაუკითხავად? მაშ რად ჩემულობს იგი, რად იღებს მე-

**ავტომობილები ხონსა და ქუთაისს შუა.** ხონსა და ქუთაისს შუა უკვე დაწყებულა საავტომობილო მიმოსვლა. (კ.)

**ერობის ბიუჯეტი.** 21 აგვისტოს, ა. ფიშერის თავმჯდომარეობით, მოხდა სხდომა ერობის შესახებ საბიუჯეტო სექციისა. სექციას განსახილველად წარედგინა მოხსენება მცირე კომისიისა საგუბერნიო და სარაიონო ერობათა შემოსავლის შესახებ. კომისიის მიერ შეკრებილ ცნობებით, მთელი გუბერნიიდან საერობო გადასახადი დღეს შემოდის 1,090,000 მანეთი. აქედან ქალაქი ტფილისი იხდის 340,000 მან. მთელი შემოსავლიდან საგუბერნიო ერობის კასაში შეტანილ უნდა იქმნას 350,000 მან. ამ ფულიდან ტფილისი შეიტანს 100,000 მანეთს. თავ. ა. მ. არგუთინსკიმ კამათის დროს აღნიშნა, რომ კამისია ფრთხილად მოქცეულა და თუ რუსეთის ერობათა ცხოვრებას დავაკვირდებით, უნდა ვიფიქროთ, რომ ტფილისის ერობას ერთი-ორად მეტი შემოსავალი ექნება. მაგალითად, 30 გუბერნიის შემოსავალი ერობის შემოღების დროს უდრიდა 5 მილიონს, ამ ჟამად-კი 107 მილიონს. საიდუმლოება შემოსავლისა იმალება იმაში, რომ ძალიან ცუდად არის მიწები დაფასებული. ერობის დროს ხელმეორედ შეფასდება და შემოსავალიც იმატებსო. ასეთივე აზრი გამოსთქვეს სხვებმა. სექციამ მინიმალურად ჩასთვალა ნავარაუდევი შემოსავალი და იმედი გამოსთქვა, რომ შემოსავალი გაცილებით მეტი იქნება. სექციამ ამასთან ერობის მოქმედების დასაწყებად საკმარისად სცნო 1,090,000 მანეთი.

**პროგიმნაზია ახალციხეში.** ამ რამდენიმე თვის წინად ახალციხის რწმუნებულებმა სთხოვეს კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ახალციხეში ექვს კლასიან პროგიმნაზიის დაარსება. მზრუნველმა აღუთქვა პროგიმნაზიის დაარსება, თუ ახალციხე ყოველ წლივ 2200 მანეთს გადიხდის. ახალციხის ქალაქის თვით-მმართველობამ 2,200 მანეთი გადასდო და 7 აგვისტოს ოფიციალური შუამდგომლობა წარუდგინა მზრუნველს. ახალციხელები იმედოვნებენ, რომ საქმე მალე განხორციელდება. ახალციხელებს კარგა ბლომა ფულიც შეუკრებიათ შენობის ასაგებად: ბაიბურსკის ანდერძით დაუტოვებია 25,000 მან. სულ-კი ახალციხელებს 50,000 მანეთამდე ექნებათ.

**სემინარიის რეორგანიზაცია.** როგორც არა ერთხელ ვწერდით, განზრახულია ტფ. სასულიერო სემინარიის რეორგანიზაცია. ეხლა სინოდმა სემინარიის მთავრობას მოსთხოვა, აცნობოს თავისი მოსაზრებანი ამის შესახებ. ფიქრობენ განმანათლებელ კლასების შემცირებას და საღვთის-მეტყველო კლასების გამრავლებას.

**შუამდგომლობა სკოლის შესახებ.** შორაპნის მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლს შუამდგომლობა აღუძრავს, სოფელ ამაშუკეთში დაარსდეს ორ-კლასიანი სამოქალაქო სკოლა.

**ფილოქსერა ძეგვში.** გორის მაზრის სოფ. ძეგვში და იმის ახლომახლო ვენახებში ფილოქსერა აღმოჩენილა.

**ტრამვაიზე.** ტრამვაიზე დაუარსებიათ დირექტორის თანაშემწის თანამდებობა. ამ ადგილზე დაუნიშნავთ მთავარი ბუხჰალტერი ლ. გ. გისი. მდივნად დაუნიშნავთ ფ. ტახტაჯიანი. მისთვისვე ჩაუბარებიათ სამოსამართლო ნაწილი.

**წიგნები მეტეხისთვის.** მეტეხის ციხის სამკითხველოსათვის შემოსწირეს შემდეგი წიგნები: გიორგი საღარაძემ „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ 2 ცალი, „როგორ მოიპოვა საფრანგეთის ხალხმა მიწა და თავისუფლება“, თარგ. გ. ახალციხელისა, 3 ცალი, „მიწის კანონ-მდებლობა ახალ ზელანდიაში“, 2 ცალი, „ნაციონალური ავტონომია და მსოფლიო ფედერაცია“, ვ. პოსსესი, 2 ცალი, „ზღაპარი წყლის შესახებ“, 2 ცალი, „ოლქობრივი თვით-მართველობა“, თარგმანი, 2 ცალი. ალექსანდრე მეფარიძემ: „ცრემლები“, ვაჟა-ფშაველასი, „ინტელიგენცია და პროლეტარიატი“, კაუცკისა, „პირველი სიყვარული“, „ნაციონალური ავტონომია და მსოფლიო ავტონომია“, „ზღაპარი წყლის შესახებ“, „ოლქობრივი თვით-მართველობა“, „რისთვის ითვრება ხალხი“, ლ. ტოლსტოისა, „პეტრე უმიკაშვილის სახსოვრად“, „შიო თავადი“, პოემა დ. ნინოწმინდელისა, „ქუჩაში მოვკვრე ქალი“, „პირველი ნაბიჯი“, „ბავშვის მოვლა“, ალ. ნათაძისა.

**თელავის ქალაქის რწმუნებულნი.** ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა თელავის თვით-მმართველობის რწმუნებულად არჩეულნი. რწმუნებულად არიან: დავით ელხაზოვი, ისაკ იარალოვი, მიხეილ სოლოვიოვი, იაკობ დაუნაშვილი, მიხეილ ცისკარაშვილი, ალექსანდრე ნაიბოვი და მიხეილ ბეგიჯანოვი; კანდიდატებად: მელქო აჯიმამუდოვი, ბაგრატ კოხტიევი და ქაიხოსრო მაჰავარიანი.

**ახალი სასოფლო სამკურნალოები.** ფიქრობენ ახალ სასოფლო სამკურნალოების დაარსებას თელავის მაზრის სოფ. იყალთოში და დუშეთის მაზრის სოფ ფასანაურში. საფერშლო პუნქტები დაარსდეს სოფ. ვაჩნაძიანში (თელავის მ.) და სოფ ყაზბეგში (დუშეთის მაზ.).

**შემოწირულება.** ამ.ს წინად ახალქალაქის გამგეობამაც მიიღო მონაწილეობა ქ-ნ შესტაკოვის საპედაგოგიო ასპარეზზე 25 წლის საიუბილეო დღესასწაულში. ქალაქის თავად ნამყოფს ბ-ნ მატინოვს პარიზიდან, ნიშნად პატივისცემისა, იუბილიარისთვის 500 მან. გამოუგზავნა. ქ-ნ შესტაკოვის ფულით ამას შეუძენია ობლიგაციები, ქალაქის გამგეობისთვის გაუგზავნია და უთხოვნია, ამ ფულის სარგებელი ეძლიოს ვორონცოვის სახელობის ვერის პირველ ქალთა სკოლის ულარიბეს მასწავლებელს. თუ ვინიცობაა, ტფილისში დაარსდა ღარიბ მასწავლებელთა დამხმარებელი საზოგადოება, ეს ფული უნდა გადაეცეს ამ საზოგადოებას, რომ სარგებელი ფულისა ეძლეოდეს ქალაქის სკოლების ულარიბეს მასწავლებელ ქალებს.

**გვამი.** 22 აგვისტოს, დილის 6 საათზე, მუშტაიდში, მტკვრ ს პირად, პოლიციელმა ნახა გვამი იუნკრის ფორმაში გამოწყობილ მოკლულ კაცისა. იქვე აღმოჩნდა ბარათი ტფ. საიუნკრო სასწავლებლის მესამე როტის იუნკრის ნიკოლოზ უსოვის სახელზე. იუნკერს თავი მოუკლავს რევოლვერით. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

20 აგვისტოს, ამომრჩეველთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, არ მოხდა არჩევნები ტფ. ხელოსანთა მამასახლისისა.

სიღნაღისთვის ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა შემდეგი ნიხრი: პური: 1 ხარისხი—5 კ., მე 2 ხარ.—2½ კ. ხორცი ძროხის 1 ხარისხისა—8 კაპ., ხბოსი—10., ცხვრის 1 ხარ.—10 კ., მე 2 ხარ.—8 კ., გამეჩისა—5 კ., თხისა—6 კ., ღორისა—13 კაპ.

ერევნის მოედანზე დააპატიმრეს ანდრია ცინცაძე და გიორგი ღუღაძე, რომელთაც მუქარით ფულის წართმევა ჰბრალდებათ.

აირუმოვს ტფ. გუბერნატორისათვის მიუმართავს, გავღარიბდი და ნება მომეცით 5 წლის განმავლობაში ჩემეულ სახლში ვიცხოვროო. როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობამ აირუმოვის სახლი 100,000 მან. შეიძინა.

შუა ბაზარში დააპატიმრეს არშაკ ბაგიანცი, მეძველე, რომელიც ოქროს ადგილზე თითბრის საათებს და სამაჯურებს ჰყიდდა. ბარიატინსკის ქუჩაზე მცხოვრებ პეტრე ასტვაცატუროვის ბინიდან ქურდებს გაუტანიათ 500 მანეთის ნივთები. 21 აგვისტოს, სადამოს 11 საათზე, მაგისტრალნი ქუჩაზე, გაბო გოცირიძის დუქანში, ჩხუბი მოსვლიათ იოსებ დიასამიძეს, დიმიტრი განიშვილს და ალექსი ბასილაშვილს. ჩხუბის დროს დიასამიძე დანით დაუჭრია გოცირიძე, რომელიც უცნობებს აშველებდა. 21 აგვისტოს გრიბოედოვის ქუჩაზე ყარსის ოლქის გლეხის ცოლთან ოლღა იაკოვლევთან ყოფილა სტუმრად სიმონ კორსაკოვი. ვახშმის დროს ჩხუბი მოსვლიათ. ქალს დანით სტუმარი მუცელში დაუჭრია. იაკოვლევის ქალი დააპატიმრეს.

# მოწერილი ამბები

**სოფ. მეჯვრისხევი** (ქართლი). როგორც ვიცით, გორიდან მეჯვრისხევამდე 18 ვერსია. პირველი სოფელი მესამე ვერსზეა, მეორე სოფელი მეექვსე ვერსზეა—ბერბუკი. 20-25 კომლი იქნება აქ, უმეტესობა სომხობა. მესამე მეცხრე ვერსზეა.—ხელთ-უბანი. 50-60 კომლია, ქართველობა და სომხობა. სოფელი დამშვენებულია ბაღ-ვენახებით. ამ ზემო ნახსენებ სოფლებში აღსანიშნავია ის, რომ თითქმის ყველანი ამომძვრალან მამა-პაპურ მიწურებიდან და გაუჩენიათ უფრო ადამიანური ბინები. ხელთ-უბნიდან იწყება თვალ-უწვდენელი მინდორი „გოხა“, ყოფილი მამული თავად ვანო ერისთავისა. ეს მამული ამ ორი წლის წინად შეუძენიათ მეჯვრისხეველ გლეხებს. იქ, სადაც გოხის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი უერთდება მთის კალთებს, გაშწკრივებულია მრავალი სოფელი და მათ შორის პირველი, როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციის რეზიდენცია და მასთან სავაჭრო-მიტემო ცენტრი, მეჯვრისხევი. მეჯვრისხევის მაღლობი მდებარეობა, მიდამოების სიმდიდრე მცენარეულობით, ჰაერის სისაღე, მრავალ წყაროებთან მთების სიახლოვე თავდებია იმისა, რომ მეჯვრისხევი ბევრ სააგარაკო ადგილს არ ჩამოუვარდება. წლეულს, როდესაც ყველგან თითქმის აუტანელი სიცხე იყო, აქ 20-25% ს არ ასცილდებია. მდ. მეჯუდა, რომელიც სოფელს ჩამოუდის, გაზაფხულით, ადიდების დროს, უხიდობის გამო დიდ გაჭირვებაში აგდებს ხალხს. მსხვერპლიც ხშირია. წლეულს ორი ძმა ისე დამხრჩვალა. მაგრამ ხიდის გაკეთებაზე არავინ ზრუნავს. ზაფხულობით, როდესაც წყალს აქ ოქროს ფასი აქვს, მეჯუდა სრულიად შრება. სოფელში მრავალი რუა, მაგრამ, საუბედუროდ, ესენიც ვერ იძლევიან საკმაო წყალს საჭიროების დროს და მრავალი ადგილი ურწყავი რჩება. ეს გარემოება ხშირად დიდ უთანხმოებას იწვევს გლეხთა შორის და ხშირად ცემა-ტყეპით ბოლოვდება საქმე. როგორც გადმოგცეს, წყლის სარგებლობის საქმეში დიდ როლს თამაშობს ძალმომრეობა.

მეჯვრისხევის საზოგადოებაში ირიცხება შვიდასამდე კომლი, ხოლო თვით სოფელ მეჯვრისხევში დაახლოვებით 400 კომლი იქნება. მათ შორის ათი-თხუთმეტი კომლი სომეხია, დანარჩენი ქართველობა. სოფლის შუა ადგილს, სადაც სავაჭრო მოედანია, მეკომურნი ისე ვიწროდ არიან შეჯგუფებულნი, რომ ერთი გოჯი ეზოც არავის დარჩენია. ბევრი ჯერ კიდევ ვერ ამოსულა მამა-პაპურ მიწურებიდან. ქუჩებიც გზები ვიწროა და მეტად უსუფთაოა.

როგორც ზევით ვთქვით, მეჯვრისხევი მთელი ამ კუთხის სავაჭრო-მიტემო ცენტრია; მაგრამ ამ გარემოების გამოსაყენებლად და სოფლის წინ წასაწევად დღემდის არაფერი გაკეთებულა ადგილობრივ მცხოვრებთაგან. 10-15 დუქანი და ისიც უმეტესად სამიკიტნო ხომ ვერაფერი წინსვლის მაჩვენებელია. კვირაში ერთ სავაჭრო დღის დანიშვნა და საზოგადო სასწორის დადგმაც ვერ მოუხერხებიათ. არ არის წვრილი სასოფლო კრედიტი, სამკითხველო და სხვა. არსებული ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი სუსტ დაფავს და დამის არის ჭერ-სახურავი ჩამოწვეს, მაგრამ ამის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. საზოგადოდ, სკოლის არსება ნაკლებად აინტერესებთ ადგილობრივ მკვიდრთ. აქ ვერა ვხედავთ იმნაირ მოძრაობას განათლებისათვის, [illegible] გორის მაზრის [illegible] წილს, [illegible] მეჯვრისხევშივე ბინადრობს, ჰყავს მომრიგებელი მოსამართლე და მომრიგებელი შუამავალი, მაგრამ ამათ ბინა და სასამართლოები გორში აქვთ. თავის თავად ცხადია, რომ ეს გარემოება უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მთელ მეჯვრისხევის რაიონს. უფრო ადგილობრივი მცხოვრება ჰგრძნობს ამას, ყველას ესმის იმათი აქ დაბინავების საჭიროება, მაგრამ დღემდის არავინ აღმოჩნდა იმისთანა, რომ ეს საქმე ითაოს და საზოგადოებას საჭირო შუამდგომლობა აღძრევინოს. **მგზავრი.**

# ოსმალეთის ამბები

**არაბების საქმე.**

დესპოტიურმა ოსმალეთმა 600 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა თავის ნაირ-ნაირ ერების ერთმანეთთან დაახლოვება. ისინი დღესაც ისევე გადაკიდებულნი და გადამტერებულნი არიან, როგორც იყვნენ 600 წლის წინად, ამიტომ განახლებულ ოსმალეთშიაც იმდენადვე გამწვავებული და საშიშია ეროვნული საკითხი, როგორც იყო დესპოტიურ ოსმალეთში. ასე, მაგალითად, ჯერ კრიტის საქმე არ მოუწესრიგებიათ და უკვე თავი იჩინა არაბების საქმემ. რაში მდგომარეობს ეს საქმე?

არაბებს უნდათ საკუთარ ხალიფატის დაარსება,—არც მეტი, არც ნაკლები! არაბები ამბობენ, რომ წინასწარმეტყველი მაჰმადი და მის შემდეგ ოთხი მისი დიდებული მოადგილე და ხალიფების ორი დიდებული დინასტია არაბები იყვნენ და ამიტომ ხალიფატი ამ ჟამადაც ისევ იმათ ხელში უნდა გადავიდესო; ოსმალებმა უკანონოდ, ძალით ჩაიგდეს ხელში ხალიფატი და ეხლა დროა ისევ არაბებს დაუბრუნონო.

თუმცა არაბთა მასსას მაგდენად არ აინტერესებს და გულში არა ჰხვდება ეს პრეტენზიები და აზრები, მაგრამ მათ მაინც ჰყავთ მომხრეები, რომლებიც აგიტაციას ეწევიან და აღელვებენ ნახევრად ველურ არაბთა მომთაბარე ტომებს—ბედუინებს.

ბოლოს დროს ბედუინებს მხარი დაუჭირეს და უარესად წაქეზება დაუწყეს ყველამ, ვინც უკმაყოფილოა ოსმალეთის ახალ წეს-წყობილებით. სხვათა შორის, არაბთა ხალიფატის სასარგებლოდ დიდ აგიტაციას ეწე-

---

საფლავის მონოპოლიის? ახსნა აქ ერთად ერთია: მას სურს, ვისი „გაპატრიოტებაც“ ამ საიქოს ვერ შესძლო, იმ საიქოს „გააპატრიოტოს“. ამ აზრით იგი ურჩ მიცვალებულს მისძახის: აი, აჰა, ჩვენ, ქართველები, ქართულად გმარხავთ და ნუ თუ „ჩვენს საქართველოს“ ეხლა მაინც არ შეიყვარებო!

სწორედ ასეთი წერილი უძღვნა „ივერიამ“ ს. ჯუღელის დასაფლავებას. და მეც ამ წინ დაუხევავ, თავ-დაუკითხველ ენის პრიჭინიდან მხოლოდ ის აზრი გამოვიყვანე, რომ „ივერიას“ იმ საიქოსაც „სამშობლო“ ჰქონია! **ირა.**

# ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

(შემდეგი *)

**VI.**

ამგვარად დაგვანახვა ყაზბეგმა თავის უკვდავის ხელით მრავალმხრივი გამოსახულება სქესებრივ გრძნობისა. იდეალური, ცხოვრების ბედნიერების მიმნიჭებელი (სიყვარული ონისესი და მაყვალასი, ციკოსი და გუგუასი, ნუნუსი და იაგოსი, ელგუჯასი და მზალოსი) სქესებრივი სურვა—ავადმყოფური, რომელიც ცალმხრივის სიამოვნებით კმაყოფილდება და სიყვარულის დამახინჯებით სიამოვნებს. ეს გახლავს „ნაჩალნიკის“ ბარბაროსული კმაყოფილება მზალოს გაუპატიურებით. ესეთი დაკანონებული ცალმხრივი განწყობილება აკავშირებს თითქმის 90 პროცენტს დღევანდელის საზოგადოების ოჯახს. ქალი მიჰყავთ ძალით, მისდა უნებურად, ჰყიდიან მას სხვა და სხვა მოსაზრებით და პირველსავე წუთში, როდესაც უნდა ასრულებდეს დიადი მოვლენა, იგი მხოლოს როლს ასრულებს, რომელსაც ეზიზღება, თავისი კანონისაგან მინიჭებული ქმარი „ნაჩალნიკი“ და რომლის ალერსი სიძულვილით ავსებს მის ბუნებას, ასახიჩრებს და ამახინჯებს მას, და აბა ასეთმა „მზალომ“ გაჰბედოს და უღალატოს მის ტირანს, მოსძებნოს თავისი „ელგუჯა“, შეიქმნეს დიადის გრძნობის მტვირთველი და თქვენ ნახავთ მაშინ ამ „ნაჩალნიკებს“, რომელიც ყოველ წუთში ჩადიან თვით უსაზიზღრეს ბოროტ-მოქმედებას და ბუნების წინააღმდეგ აქტს, აბა ნახეთ, რა ყვირილი ასტეხონ და რა ზარითა და ზეიმით გამოვიდნენ ზნეობის დამცველებად. ისინი, ვინც ძირს უთხრიან საზოგადოების პრინციპებს, ისინი, ვინც ასახიჩრებენ ბუნებას და ყოველ მის კარგ მხარეს აცუდებენ, პირველნი შესდგებიან ხოლმე ყალყზე და პირველნი გამოდიან ფარისევლურ დამცველებად ბუნებრივობისა და საზოგადოებრივობისა.

გირგოლას მაგალითი კი პატოლოგიურია, ადვილად მისახვედრია, რომ გრძნობა საშინლად ამახინჯებს და აბოროტებს დაუკმაყოფილებელ სულსა და ხორცს და იწვევს ასეთს საშინელს კატასტროფას. და განა ჩვენი კულტურული, განათლებული საზოგადოება ასე არ არის. განა ამ სფეროში ათასი მაგალითი არ არის, რომ ვსარგებლობთ ჩვენის მდგომარეობით, ჩვენის ძალით, რომ სუსტი ქმნილება გავიხადოთ ჩვენის სურვილების იარაღად. მაგრამ „განათლებული“ კაცობრიობა ამას უფრო ქურდულად და ხერხიანად მოაწყობს ხოლმე, ველურების ცხოვრებაში კი ეს ტრაგედიულს სახეს ღებულობს.

აქვე უნდა შევეხოთ ყაზბეგის მიერ დახატულს სურათს მეგობრობისას—ამ კაცთა შორის კავშირის ერთ საუკეთესო მაგალითს. აქაც ვნახავთ, რა ღრმა, რა ნათელი, რა მშვენიერი სახე აქვს მიღებული მოხევეთა შორის ამ დამოკიდებულებას, რა სინაზით არის იგი გამსჭვალული და რა თავგანწირულებით. ამაშიაც ჩვენი განათლებული საზოგადოება—რასაკვირველია ქართველი—ძალიან შორს ჩამორჩენილნი არიან ამ კითომ და ველურობას, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართულ დაბეჩავებულ საზოგადოებას არა ესმის რა არც ერთის დიადის და არა შაბლონურის გრძნობისა.

ხოლო როცა საზოგადოებაში მაღალი გრძნობები ჰქრება, კარგად უნდა იცოდეთ, ის საზოგადოება გაველურებისა და გადაგვარების გზაზედა სდგას და კულტურას ჩამოშორებულია. როცა ქართველ ერს თავისებური კულტურა ჰქონდა, როცა მისი ცხოვრება თავისუფალ განვითარებასა და მიმდინარეობას ადგა, მას არავითარი დიადი გრძნობა და აზრი არ ეროთირებოდა. გაიხსენეთ აბა ავთანდილის საარაკო თავგანწირული მეგობრობა და დამეთანხმებით, რომ მსგავსი რამ შესაძლოა ფრიად განათლებულმა და მაღალის გრძნობებით აღჭურვილმა საზოგადოებამ შეჰქმნას და წარმოშობოს. დღეს კი იშვიათად, რომ ვინმემ ან წაიკითხოს და თუ წაიკითხავს, გაიგოს მთელი სიმაღლე და სიღრმე ამ გრძნობისა.

ყაზბეგს, როგორც ერთ საუკეთესო ქართველთაგანს, ნაზის ფსიხიკის მქონეს, კარგად ესმოდა მშვენიერება მეგობრობისა, იცოდა, რომ მას ადგილი არა აქვს დამახინჯებულ საზოგადოებაში და, როგორც სხვა დიად მისწრაფებასა და გრძნობას, მასაც იქ მთაში ამოუჩინა ბინა, სადაც ქართველის ერის გამათახსირებელი ძალა ისეთის სისწრაფით ვერ მოქმედებდა და სადაც ხალხს, იქნებ მთების დარაჯობის წყალობითაც, ძველის კულტურის ნაშთი კიდევ შერჩენოდა და კიდევაც იცავდა მას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ყაზბეგის გმირების „ძმად გაფიცვა“ მეტი არაფერია, თუ არ იდეალური, ავთანდილისებური მეგობრობა. საკმაოა ორ მოხევეს შორის ტყუილად „ძმობის“ სიტყვა გაისმას, რომ ისინი ძმად გაიფიცნენ, თუ სული და გული მათი ერთ-ერთმანეთისაკენ მიიზიდავს ურთ-ერთს, და რაკი ძმად გაიფიცებიან, მერე ეს ორი „ძმა“ ვეღარც ჭირში და ვეღარც ლხინში ერმანეთს ვეღარ უღალატებენ, ერთმანეთისათვის თავს დასდებენ და სიკვდილს არჩევენ, ვიდრე ერთმანეთს უღალატებდნენ.

ჩვენ მოვიყვანეთ ზემოდ იმისი მაგალითი, თუ რა საშინელს ტრაგედიას განიცდის მათია, ელგუჯას მეგობარი, მზალოს უბედური მოტრფიალე, განიცდის იმის გამო, რომ მეგობრის ცოლი შეუყვარდება. ჩვენ ვნახეთ, ამ „ძმად გაფიცვას“ რა საშინელი თავგანწირულება მოჰყვება სულთისა და ციციას განწყობილებაში. ჩვენ ვნახეთ, რომ „ძმად გაფიცულები“ იძიებენ შურს გაუბედურებულ მეგობრისა და თავს არ დაზოგვენ, მათი სისხლი აიღონ, (სულთაი „ციციაში“, კობა „მამის მკვლელში“). კობას მეგობრობა იაგოსთან პირდაპირ „ვეფხვის ტყაოსნის“ ებურია. კობა საშინელს თავგანწირულებას გამოიჩენს და იაგოს სატუსაღოდან გაანთავისუფლებს. მერე ერთ ჩეჩენთან დაიმალებიან. იქაც კობა იაგოსთან დარჩება.

კობა განუშორებლად გვერდს ჰყვანდა „ძმად-ნაფიცს“. ყოველთვის, რა მარტონი დარჩებოდნენ, მოჰყვებოდნენ ლაპარაკს თავიანთ მდგომარეობაზედ, მოაგონდებოდათ თავიანთი სამშობლო, იქაური ღრუბელი და იმის დანახვის სურვილი ლევდა. ამგვარი დამეები გათავდებოდა გულის ამღერების ფანდურის ხმათ, რომელსაც ისე მშვენივრად უკრავდა კობა და გმირულს ლექსებს ნახევარ-ხმად დასძახოდა.

ხოლო როცა იაგომ კარგად მოიკეთა და ძალი მოიკრიბა, კობამ გადასწყვიტა ნუნუს ამბავი გაეგო და მისთვის შეეტყობინებინა, ამ თავისს განზრახვას იმნაირის სინაზით შეატყობინებს მეგობარს, რომ აშკარათ ჰგრძნობთ მთიელის სიმაღლეს და სიმშვენიერეს მისის განწყობილებისას.

— იაგო! მთაში წავალ სანადიროდ.

იაგოს კი გულზედ ეცა მეგობრის მოშორება, რადგან უცრად ვერ მიხვდა მისის სიტყვების დაფარულ წადილს.

— ბედ-შავო ჩემო თავო! შენ ჯდომა მოგწყინდა, განა?—დაღონებით უპასუხა იაგომ.

— შენთან რაი მომაწყენდა, რად მეუბნები მაგას?

— აბა რაი გულის გადასაყოლია სულ ავადმყოფთან ყოფნა?.. წადი, წადი, თვალს გასხელ.

ეხლა კი კობამ ვეღარ მოითმინა მეგობრის ასეთი უსამართლო იჭვნეულება და გულის პასუხი გამოუაშკარავა.

„წავალ, ეგების ჩვენებური მონადირე ვინმე შემხვდეს, შინაობისას გავიგებდი რასმე.

რამდენი სინაზე და რამდენი ღრმა გრძნობა იხატება ამ პატარა დიალოგში, რომელიც საუცხოვოდ გვიმტკიცებს, რომ ყაზბეგის გმირები არა თუ უცხო მიჯნურნი არიან, არა ჩვეულებრივი მეგობრებიც არიან; მოხევე მეგობარი არა თუ ყოველ წუთს მზად არის, თავი განიწიროს მეგობრისათვის, არამედ, მარადის მას ნაზის ალერსით ევყრობა და ნიადაგ მაღალს გრძნობას ფიანდაზად უშლის. ხოლო რა მაღალ საფეხურზე აყენებს თვით ავტორი ამ გრძნობას მეგობრობისას, იქიდან სჩანს, რომ ავტორმა ერთხელ მხოლოდ მიმართა ისეთს უშნო ხერხს, როგორც მოვლენათა კანონიერი მიმდინარეობის შეწყვეტაა სრულიად გარეშე რაიმე ახალის ძალის ჩარევით, და ეს იმისთვის, რომ მათიასთვის არ დაენებებინა და ძმობის ფიცი არ გატეხა, მეგობრობის წმინდა აღთქმა არ დაერღვია („ელგუჯა“). **კიტა აბაშიძე.**

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „დროება“, N 184.

ვა აბდულ-ჰამიდის ადიუტანტად ნამყოფი ცნობილი იზეტ-ფაშა. ეს ვაჟბატონი, რომელმაც დალუპა და გააკოტრა მთელი ოსმალეთი, გაყიდა მისი ქონება და სიმდიდრე და რომელმაც მხოლოდ გაქცევით დააღწია თავი გაafთრებულ ხალხს, ამ ჟამად ეგვიპტეში ზის არხეინად და იქიდან ცდილობს ვითომ და არაბთა ხალიფატის აღდგენას. ინგლისელებს მაინც და მაინც არა სწყინთ გაიძვერა იზეტ-ფაშის ინტრიგები; ისინი თითქო მფარველობასაც კი უწევენ ასეთ მოქმედებას.

არაბთა განცალკევებას და საკუთარ ხალიფატს, რასაკვირველია, ბევრი გულწრფელი და განათლებული მომხრეცა ჰყავს. სეპარატისტი (განცალკევების მომხრეები) არაბები თავიანთ საკუთარ ჟურნალს სცემენ ლონდონში. ამ ჟურნალს სახელად ჰქვიან „ხალიფატ“-ი.

სტამბოლში არაბები დიდ როლსა თამაშობენ ცხოვრების ყველა დარგში. ოსმალეთის ფაქტიური დიქტატორი და გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ-ფაშა არაბია ჩამომავლობით; ოფიცერთა, მოხელეთა და სამღვდელოთა შორის ურიცხვი არაბია; პარლამენტში 250 წევრიდან 70 არაბია. საზოგადოდ ოსმალები მუდამ კეთილის თვალით უცქეროდნენ არაბებს და თავიანთ თანასწორ, ძმა ერად სთვლიდნენ მათ. და უნდა სიმართლე ვსთქვათ, რომ არაბებიც აფასებდნენ ოსმალების ასეთ ქცევას: მათი უმეტესობა დიდი ერთგულია ოსმალეთისა. „პროგრესისა და და ერთობის“ კომიტეტში ყველაზე მხნე და გულ-მოდგინე წევრები არაბები არიან. მაგრამ მაინც არაბები გრძნობენ თავიანთ დიდ ძალას და მუდამ აგებინებენ ოსმალებს, რომ ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ და რომ მოინდომონ დიდ განსაცდელში ჩააგდებენ ოსმალეთს. ოსმალებსაც ესმით ესა და ამიტომ ესენიც ყოველნაირად ერიდებიან არაბებთან უთანხმოებასა და უსიამოვნებას.

ასე, მაგალითად, იმ აზრით, რომ სამუდამოდ ბოლო მოეღოთ არაბთა ტომების მუდმივ აჯანყებისა და ყაჩაღობისთვის, ამ ტომების მეთაური — შეიხები სტამბოლში დაიბარეს. განსაკუთრებულმა კომისიამ მოისმინა ყველა მათი საჩივარი და პრეტენზია და პრინციპიალურად გადასწყვიტა, არაბეთის ხალხს ადგილობრივი თვითმმართველობა მიეცეს და საზოგადოდ არაბეთისთვის განსაკუთრებული მმართველობა დაწესდესო. მაგრამ სამწუხაროდ ამ მოლაპარაკების დროს ამბავი მოვიდა, რომ იემენში არაბები მუხანათურად დაეცნენ ოსმალთა ბანაკს და 150 ჯარის-კაცი და რამდენიმე აფიცერი მოჰკლესო. ოსმალეთის საზოგადოებას გული მოუვიდა ამაზე; პრესამ თუ ხალხმა მოითხოვეს ბეჯით ღონისძიების მიღება. პარლამენტშიაც შეკითხვა შეიტანეს. წმინდა ქალაქ ქელბალას წარმომადგენელმა „სისასტიკე და სამართლიანობა“ მოსთხოვა შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს ტალაატ-ბეის. მინისტრმა უპასუხა: არაბების მუდმივ აჯანყების უმთავრესი მიზეზი არის ძველ რეჟიმის დროს დაწესებული უხეირო, უგუნური წესები. არაბების სამართლიან მოთხოვნასა და საჭიროებას დავაკმაყოფილებთ, ხოლო მეორეს მხრით ღონისძიებას მივიღებთ, რომ არაბთა აჯანყებას სამუდამოდ ბოლო მოეღოსო. ამისათვის არაბეთში 30 ათასს ჯარის-კაცს გავგზავნითო. („კ.“)

**„მინისტრების გამანადგურებელი“ ჰუსეინ-ჯაჰიდ-ბეი. — ნორადუნგიან-ეფენდი.**

„კასპი“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი ბ-ნი ალაევი საინტერესოდ ასწერს ოსმალეთის ახალ პარლამენტარულ ცხოვრებას და ახალ პოლიტიკურ მოღვაწეებს:

ადრე საფრანგეთში კლემანსოს ეძახდნენ „მინისტრების გამანადგურებელს“. მართლაც და კლემანსომ მრავალი მინისტრი დასცა. ამ ჟამად ასეთსავე როლს ოსმალეთში ასრულებს ახალგაზრდა ოსმალთა ორგანოს — „ტანინ“-ის რედაქტორი და პარლამენტის წევრი ჰუსეინ ჯაჰიდ-ბეი. მან ადრე საკმაოდ კარგი რომანები და მოთხრობები დასწერა და მრავალი სახელმძღვანელო წიგნები შეადგინა. იგი მეტად მხნე კაცია და ამ ჟამად დიდს ნიჭს იჩენს პუბლიცისტიკასა და პოლიტიკაში. 31 მარტს, კონტრ-რევოლიუციის დროს, რეაქციონერები მის მოკვლას შეეცადნენ, მაგრამ ჯაჰიდ-ბეი ხელიდან გაუსხლტათ და გემით საზღვარ-გარედ გაიქცა. გაafთრებულმა ჯარის-კაცებმა მის მაგივრად მოჰკლეს ერთი დეპუტატი, რომელიც მიამგზავსეს ჯაჰიდ-ბეის. თუმცა იგი ჯერ სულ ყმაწვილი კაცია — 35 წლისაა — მაინც დიდ როლს თამაშობს: იგი მეთაურობს მეტად გავლენიან და მნიშვნელოვან ოსმალურ გაზეთს „ტანინ“-ს, რომელშიაც გამოსთქვამს და ავრცელებს „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის აზრებს. წერაში იგი ძრიელა ჰბაძავს თავის განთქმულ ფრანგ მასწავლებელს კლემანსოს. მაინც აქ ოსმალეთში მეტად დიდი გავლენა აქვს საფრანგეთს. ეს მით აიხსნება, რომ ახალგაზრდა ოსმალთა უმეტესობა ან საფრანგეთშია გაზრდილი, ან არა და შეხიზნული იყო იქა აბდულ-ჰამიდის დროს. ასე თუ ისე საფრანგეთს დიდი გავლენა მოუხდენია ოსმალების გონებასა და გრძნობაზე და ეხლანდელი ოსმალები ყველაფერში ჰბაძვენ საფრანგეთს. საკმაოა პარლამენტში ვინმემ სთქვას, რომ საფრანგეთში ესა და ეს საკითხი ამნაირადაა გადაწყვეტილიო, რომ პარლამენტმა უკამათოდ დაამტკიცოს საფრანგეთის კანონის თანახმად შედგენილი კანონპროექტი.

დილით რომ „ტანინ“-ს წაიკითხავთ, მაშინვე გაიგებთ, რომელი სახელმწიფო მოღვაწე დაეცემა, რომელი ამაღლდება. ჰუსეინ-ჯაჰიდ-ბეი გამოსთქვამს ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის სურვილსა და აზრებს, ხოლო ამ პარტიამ გადასწყვიტა, მთელი ოსმალეთი განაახლოს და გასწმინდოს ყველაფრისგან, რაც-კი ძველ რეჟიმს მოგვაგონებს, რადგან პარტიამ კარგად იცის, რომ ძველ ხალხისგან არაფერს ახალს არ უნდა მოველოდეთ, რომ გაახალგაზრდავებულ ქვეყანას სჭირია ახალგაზრდა, ნორჩი ძალა. მაგრამ პარტია თანდათან, ნელ-ნელა, სისტემატიურად ასრულებს ამ საქმეს, რაც ასე ძლიერ აგულისებს მოუთმენლებს, და რაც ასე ახარებს დინჯებსა და გონივრებს.

ამას წინად ჰუსეინ-ჯაჰიდ-ბეიმ „შეჰამა“ შინაგან საქმეთა მინისტრი ფერიდ-ფაშა, რომელიც ბევრჯელ იყო დიდ ვეზირად აბდულ-ჰამიდის დროს. მის მაგივრად დაინიშნა ახალგაზრდა ტალაატ-ბეი, გავლენიანი წევრი ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტისა. ეხლა დადგა რიგი საზოგადო საქმეთა მინისტრის ნორადუნგიანისა. ნორადუნგიან-ეფენდი ძველი რეჟიმის ძველი ნაშთია. თუმცა იგი სომეხია, მაგრამ სომხებსაც ოსმალებზე არა ნაკლებ უნდოდათ მისი გადაყენება. მის ადგილას, როგორც ამბობენ, ისევ სომეხი დაინიშნება — ხალათიან-ეფენდი, ახალგაზრდა, მხნე კაცი, რომელიც იბრძოდა ახალ წესწყობილებისთვის. ჯაჰიდ-ბეიმ „ტანინ“-ში ისეთი ცნობები გამოაქვეყნა ამ მინისტრის შესახებ, რომ თავზარდაცემულმა მინისტრმა მაშინვე თავდაბლად გამოაცხადა გაზეთებში, „მინდა დასასვენებლად წავიდეო“. სწორედ იმ დღეს პალატის თავმჯდომარის ახმედ-რიზას კაბინეტში შემხვდა ნორადუნგიან-ეფენდი ოჰ, რომ გენახათ, რა თავდაბლად, რა საცოდავად ეხვეწებოდა თავმჯდომარეს, ჯაჰიდ-ბეის შეკითხვა სხვა დროისთვის გადადეთო.

იმავე დღეს ჩემთან ერთად პალატაში იყო დოქტორი ყარა-ბეი-ყარაბეგოვი, რომელიც ის იყო რუსეთიდან მოსულიყო სტამბოლში. პარლამენტში კამათი იყო გამართული, რამდენი პენსია დაენიშნოს სამსახურიდან გადაყენებულ მინისტრებსო. მთავრობის პროექტით, მათ თვეში 500 მანეთი უნდა მისცემოდათ. უცებ წამოდგა ერთი დეპუტატი მოლა, ავარდა ტრიბუნაზე და დაიძახა:

„როგორ! 500 მანეთი საიდან უნდა მიეცეს დათხოვნილ მინისტრს, როდესაც ანატოლიაში გლეხებს არა აქვთ სათესლე პური, როდესაც სოფლებში ხალხი ქვასა სჭამს პურის მაგიერ“!

მას მიუგეს, რომ მინისტრებს დიდი ხარჯი აქვთო: მათ სჭირიათ მოსამსახურეები, ეტლი, კარგი საჭმელ-სასმელიო. მოლა გაბრაზდა:

„რა ეშმაკად გვინდა მათი მოსამსახურეები, ეტლები, ცხენები და ძვირფასი საჭმელ-სასმელი! ფეხით იარონ რა! იმათმა ცოლებმაც თითონ მოიმზადონ საჭმელი! რითა სჯობიან ისინი ჩემს ცოლსა! განა იმისთვის მოვიპოვეთ თავისუფლება, რომ ისევ ძველებური წესები დავტოვოთ! როგორ შეიძლება ამოდენა პენსიის მიცემა, როდესაც ხალხი ქვასა სჭამს!

მოლა ისეთის რწმენითა და ძლიერებით ლაპარაკობდა, რომ პალატამ ერთხმად შეამცირა პენსია და 500 მანეთის მაგივრად თვეში 300 მანეთი დაუნიშნა დათხოვნილ მინისტრებს...

# რუსეთი

„კრამოლნიკი“. „ოდესკია ნოვოსტი“ შემდეგ ამბავს იუწყება: ადგილობრივ სასამართლოს პროკურორის თანაშემწეს სადანსკას და ჟანდარმ ნოვიკოვს“ ჩხუბი მოუვიდათ. საქმე ამნაირად იყო: პროკურორი ტრამვაის უცდიდა და რომ დრო მოეკლა გაზეთ „ოდესკია ნოვოსტის კითხულობდა. ჟანდარმა ნოვიკოვმა პროკურორის თანაშემწეს შენიშვნა გაუკეთა:

— „ოდესკ. ნოვოსტი“-ს კითხულობთ?! სჩანს „ჟიდი“ ყოფილხართ და მე კი „ჟიდების“ პირისპირ მეჯავრება.

სადანსკიმ ჟანდარმს უთხრა, რომ პროკურორის თანაშემწე ვარო. ჟანდარმმა სადანსკის გინება დაუწყო.

მე არავისი არ მეშინიან. ვერავინაც ვერ მახლებს ხელს. პროკურორმა „ჟიდების“ გაზეთები არ უნდა იკითხოს.

ძლივს შესძლო სადანსკიმ ჟანდარმის მოშორება და ისიც პოლიციის შემწეობით.

# წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ პატივცემულ გაზეთის „დროების“ მახლობელ ნომერში.

1908 წელს მე დავასრულე სწავლა ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში. ხელმოკლეობისა გამო (მამა სოფლის მწერალია, ძმა ყოფილი მასწავლებელი, ერთი თვეა მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს, ცოლ-შვილიანი, უადგილოდ დაიარება, მეორე ძმა კიევში ჯარის კაცად წაიყვანეს) იძულებული ვხდები, თუმცა სულითა და გულით მსურს შევისწავლო მხატვრობა, რომლისადმი სიყვარული პატარობიდანვე ჩამენერგა გულში, ვერ განვაგრძო სწავლა. პატარობიდანვე დავიწყე ხატვა უხელმძღვანელოდ. რამდენად შემეძლება ზედმიწევნით შევისწავლო თეორეტიულად და პრაქტიკულად ხატვრობა, ამას დაამტკიცებენ ჩემ მიერ ქვაზე და ხეზე დახატული სურათები ილია ჭავჭავაძისა და შოთა რუსთაველისა. ეს სურათები, რომელსაც ვსწირავ ქართ. შორის წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს, ამ ჟამად მუზეუმშია.

მივმართავ პატივცემულ ქართველ ქველმოქმედთ და ქართულ დაწესებულებებს, ნივთიერი დახმარება აღმომიჩინონ და ამით საშუალება მომცენ მივებარო გამოჩენილ მხატვარს ან შევიდე რომელსამე სამხატვრო სასწავლებელში სწავლის მისაღებად.

ამ ჟამად თექვსმეტის წლისა ვარ.

დავშთ. პატივისცემით **გიორგი ვასილის ძე ხმალაძე.**


**უფლებიანი**
**სავაჭრო სკოლა**
ვაჟებისა და ქალებისათვის
**ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.**
გამოცდები 20, 24 და 28 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

**საბუღალტერო კურსები**
მოზრდილ ქალთა და ვაჟთათვის
მიიღება თხოვნები. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.

ავჭალის ქუჩის თავი, 1 თამანოვის ქუჩა, საკუთარი სახლი, N 13. (2—420—1)

**!!! საზოგადოების საყურადღებოდ !!!**
**ახალი მაღაზია ფეხსაცმელებისა კ. ოგანიანცისა შვ.-რთ**
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ს. ალიხანოვისა.
ფირმამ მიიღო საქონლის დიდი ტრანსპორტი საუკეთესო ფაბრიკებისაგან: პეტერბურგისა, ვენისა, ვარშავისა და სხვათა. პასუხის-მგებელია, რომ საქონელი მკვიდრი და მოხდენილია. ფასები კონკურენციის გარეშეა.
ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას პირადად დარწმუნდეს.
(1—ხალ—1) პატივისცემით **კ. ოგანიანცი შვ.—რთ.**

**პირველი კერძო სამკურნალო**
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. აკნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბთვინი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—156)

**რად გინდათ**
თქვენ თავს უსიამოვნება მიაყენოთ ან მეტი ფული გაიღოთ და გამოიწეროთ უნახავად საქონელი, როდესაც შეგიძლიან თქვენს გემოვნებაზე აარჩიოთ ჩვენი ფირმის ნიმუშების კოლექციიდან მაგარი და მესაფერი საქონელი მამაკაცთა კოსტიუმებისათვის. კოლექციაში სხვა და სხვა ფერისა, ნახატის და ფასის მატერიებია.
**კოლექციები უფასოდ.**
მოითხოვეთ ამ ადრესით: ქ. ლოძი, N 18, მალეულობის ნაწარმოებთა ფაბრიკა **ა. კიემონისა.** (3—ფ.—1)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი
**საბუხჰალტრო კურსები**
**ნ. ვ. აბრაამიანისა.**
ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.
კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.
კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.
კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გამოიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ—6)

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი**
**საკომერციო ცოდნათა კურსები**
**ტ. მ. ფ ი ლ ო ი ა ნ ი ს ა.**
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.
ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰჰალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს. ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას); 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.
**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**
**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.
კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—4)

**ი. ახობაძე — ნეკრასოვის ქ. № 14, ვორონცოვის ძეგლის ახლო.**
**ავადმყოფებს და სუსტებს**
**სპერმატინი** თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, ამღვრებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აძლევენ მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველა ფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ შედეგია პროფ.-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლ ნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ზურგ-ტვინის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.
**თითო შუშის ფასი 2 მან. 40 კაპ.**
**ალმეზა** თუ თქვენ კბილები გტკივათ და საშუალება არა გაქვთ სისტემატიურად სპეციალისტ ექიმთან იწამლოთ, ამ შემთხვევაში საუკეთესო და ნამდვილი საშუალება კბილის ტკივილისაგან განთავისუფლდეთ — ბ. ალმეზას ელიქსირია — რომელიც ორ წუთში აყუჩებს კბილის ტკივილს, არჩენს ღრძილების ავადმყოფობას, აჩერებს სისხლს, ამაგრებს ღრძილებს და კბილებს და სამუდამოდ სპობს სუნს.
სანიმუშო შუშა ელექსირისა 40 კაპ., ჩვეულებრივი 1 მ. 20 კაპ.
**სიკვდილი ბაღლინჯოებს!** „კლოპოვინი“ უეცრადა სპობს ბაღლინჯოებს და მთახაზებს. ფასი თითო შუშისა 35 კაპეიკი.
იყიდება ფირმის წარმომადგენელ ი. გ. ახობაძესთან — ტფილისი, ნეკრასოვის ქ. N 14, ვორონცოვის ძეგლთან. ქალაქ გარეთ გაიგზავნება ფას დადებითაც და ღირებულების ერთი მესამედის გაგზავნითაც. აგრეთვე შეიძლება შეძენა ტფილისში აფთიაქის მაღაზიებში — ზურაბოვთან, გოლოვინის პროსპექტზე და ვორონცოვის ძეგლთან. ქუთაისში — კოკოჩაშვილის აფთიაქის საქონლის საწყობში; ფოთში — საქალაქო აფთიაქში; ჭიათურაში — ჯანელიძის აფთიაქში; ბაქოში — გოცერიძესთან. (0—ხალ.—4)

**პროვოდნიკის**
ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА 1
1897 წ. 1888
ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА
1 9 0 8 წ.
**ამხანაგობა**
**რ ი გ ა შ ი**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
**● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●**
დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი**
სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.
დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;
დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;
**რეზინის ლრუბელი;**
**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;
**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების**
**„პროვოდნიკი“-სა**


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.